ცსკა - „დინამო“ (თბილისი) 2:1 (1:0)

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 21 ივნისი.

ცსკა: ჩანოვი, კუზნეცოვი, შმატოვალენკო, კოლოტოვკინი, ფოკინი, გალიამინი, მალიუკოვი (კოლესნიკოვი, 46), პიატნიცკი, მედვიდი, ათანასიევი (ჰუსეინოვი, 84), მასალიტინი.

„დინამო“: გაბელია, ცვეიბა, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, გოგრიჭიანი (შენგელია, 25), სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია, კორღალიძე (კეტაშვილი, 75), ქეცბაია.

მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკაროლა)

დუბლიორები - 2:2.

საკავშირო ჩემპიონატის XV ტურისთვის ცსკა და თბილისის „დინამო“ ქულათა თანაბარი რაოდენობით (12-12) სატურნირო ცხრილის უახლოესი მეზობლები აღმოჩნდნენ. ალმა-ათის „ქაირათთან“ ერთად ისინი X-XII ადგილებს იყოფდნენ. ამ მატჩში გამარჯვებული გუნდი კი საგრძნობლად იუმჯობესებდა საერთო მდგომარეობას.

ასეთი ვითარება, რა თქმა უნდა, ორივე მეტოქეს აიძულებდა ძალების სრული დაძაბვით ებრძოლა, გარდა ამისა, მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ მოსკოვის არმიელებმა წლევანდელ ჩემპიონატში კარგად აღებული სტარტის შემდეგ მკვეთრად მოუკლეს თამაშს, რის შედეგადაც თანდათან ჩამოქვეითდნენ აუტსაიდერებისკენ. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო გამარჯვება არმიელებმა 2 მაისს მოიპოვეს კიევის „დინამოსთან“ შეხვედრაში - 2:1, მეტოქის მინდორზე, შემდეგ კი 7 კალენდარულ მატჩში მხოლოდ 4 ფრეს მიაღწიეს და 14 შესაძლებლიდან 4 ქულა აიღეს.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, მისი სავალალო მდგომარეობა ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ განვლილ ტურში მოსკოვის „დინამოსთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ჩვენი გუნდის ქომაგები დიდი ოპტიმიზმით ვიყავით განწყობილი. დინამოელთაგან მოველოდით მაქსიმალურ მობილიზებას. მოველოდით, რომ გუნდი სრული ენერგიით იბრძოლებდა წარმატების მისაღწევად. სამწუხაროდ, ჩვენს იმედებს წყალი გადაესხა მატჩის დასაწყისშივე, მე-2 წუთზე, როცა არმიელებმა თავიანთი სწრაფი შეტევა გოლით დაამთავრეს - 1:0 (ბურთი გაიტანა დებიუტანტმა მასალიტინმა, რომელიც ცსკა-ში როსტოვის არმიელთა გუნდიდან გადმოიყვანეს სულ ახლახან).

მცირე ხნის შემდეგ დინამოელები კვლავ მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ, როცა იმავე მასალიტინის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის მსაჯმა პენალტი დანიშნა. 11-მეტრიანის დარტყმის უფლება მასპინძლებმა თავიანთ მცველს ფოკინს მიანდეს, მაგრამ გაბელიამ გამოიცნო დარტყმის მიმართულება და მოიგერია ბურთი.

თბილისელთ რიგებს ამის შემდეგ გამოცოცხლება დაეტყო. ცსკა-ს კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. შესვენების შემდეგ დინამოელები კვლავ

უტევდნენ, მოთამაშეთა შორის იგრძნობოდა მონდომება, აღმავლობა, ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობები შეექმნათ ჭედიას, ჟვანიას, ერთ-ერთი იერიშისას შენგელიამ რთული მდგომარეობიდან მოტრიალებით დაარტყა, ბურთი მოხვდა ზედ ძელს და კარის ხაზს მიღმა ჩაეშვა - 1:1.

მატჩის დასასრულამდე ბრძოლის სიმწვავე არ განელებულა. ჩვენს გუნდს შეეძლო სულ ცოტა ერთი ქულა მაინც აეღო, მაგრამ არმიელთ ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს მიუტევებელი შეცდომა დაუშვა სულაქელიძემ. ამ გამოცდილმა ფეხბურთელმა სრულიად მარტივ, უხიფათო ვითარებაში უყურადღებოდ, არაზუსტად გადააწოდა ბურთი მეკარეს, იქვე ახლოს მყოფმა მასალიტინმა სწრაფად მიუსწრო ბურთს და შეუფერხებლად გაგზავნა იგი მეტოქის ბადეში.

დარჩენილ მცირე დროში თბილისელებმა ვეღარაფერი შეძლეს და ახალი, რიგით მეშვიდე დამარცხება იწვნიეს.

ზურაბ ფოცხვერია
(„ლელოს“ სპეც. კორ.)
ლელო 23.06.1987